# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 109

"15" აპრილი 2016 წ.

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების №01.10.06.001.187, №01.15.01.004.012, №01.14.05.009.098 საკადასტრო ერთეულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების სს „ვაკე"-თან გაცვლის ფორმით პრივატიზებისა და გასაფორმებელი ხელშეკრულების პირობებზე თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, $118^1$ მუხლის მე-5 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული დანართის „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის" მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1.თანხმობა მიეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 30 მარტის №12.23.287 განკარგულებით გათვალისწინებული, ქვემოთ აღნიშნული მიწის ნაკვეთების გაცვლის ფორმით პრივატიზებაზე, სს „ვაკეს" (ს/ნ №204862005) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, თამარაშვილის შესახვევი №15-ში მდებარე 6166 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (ს/კ №01.14.07.008.003) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით გათვალისწინებული პირობებით:

ა) ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლება, ველოტრეკის მიმდებარედ არსებული 21345 კვ.მ. მიწის ნაკვეთი( ს/კ №01.10.06.001.187);

ბ) ქალაქ თბილისში, ოქროყანის მიმდებარედ არსებული 20000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ №01.15.01.004.012);

გ) ქალაქ თბილისში, ნაფეტვრების გზის მიმდებარე ტერიტორიაზე (ფხაკაძის ქუჩის გაგრძელებაზე), (ნაკვეთი 09/065)/ქალაქი თბილისი, ნაფეტვრების გზის მიმდებარე ტერიტორიაზე (ნაკვეთი 09/074)/ქალაქი თბილისი, ნაფეტვრების გზის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული 3316 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (ს/კ №01.14.05.009.098).

2. მიწის ნაკვეთების საერთო საპრივატიზებო საფასური განისაზღვრება 17000 (ჩვიდმეტი ათასი) ლარით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი